ნათია ჯანგულაშვილი

"მაკაბელთა წამების" სიმბოლოთა გააზრებისთვის

"მაკაბელთა" წიგნები ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნთა რიცხვს განეკუთვნება. მათთან დაკავშირებით ჩვენამდე სხვადასხვა სახის ლიტერატურამ მოაღწია: ბიბლიურმა, აგიოგრაფიულმა, ჰიმნოგრაფიულმა. ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს მარტვილოლოგიური თხზულება და მასში წარმოჩენილი ზოგიერთი სიმბოლოს მნიშვნელობის გააზრება.

"მაკაბელთა წამება" ბიბლიურ, კერძოდ, არაკანონიკურ თხზულებათა – II და IV მაკაბელთა საფუძველზე შექმნილი აგიოგრაფიული ძეგლია. მიუხედავად იმისა, რომ "მარტვილობის" ტექსტი 1980 წელს გამოსცა პროფ. ივანე იმნაიშვილმა, ლიტერატურული თვალსაზრისით, ძეგლი დღემდე შეუსწავლელია.

მეცნიერებაში საყოველთაოდაა ცნობილი, რომ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში ავტორი წარმოგვიჩენს ქრისტეს გზის მიმბაძველთა – მარტვილთა ღვაწლს. მისი მიზანია განდიდდეს მოწამეთა საქმენი, რათა დროთა მდინარებაში დავიწყებას არ მიეცეს მათი სახელი და, ამასთან, ამა თუ იმ მარტვილს ჰყავდეს თანამლმობელი, ტანჯვის გზით მოპოვებული ბედნიერების თანაგანმცდელი: "ხოლო ვინაჲთგან სიგრძე ჟამთაჲ ყოველსავე დავიწყებად მოიღებს, დაღაცათუ წინაშე ღმრთისა ყოველივე ცხად არს და საჩინო... ესრეთ განაწესა ყოვლად ბრძენმან მან განგებულებამან მისმან, რაჲთა წიგნთაცა შინა აღიწერნენ საღმრთონი იგი... რაჲთა საღმრთოთა მათ და მაღალთა საქმეთა მიერ დიდების-მეტყველებად და სურვილად მისა აღვიძრვოდეთ და საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ განვნათლდებოდით და აღსრულებად მათდა მოსწრაფე ვიქმნებოდით. ხოლო დიდთა მათ და საკუთართა მონათა ჴსენებითა შურად და ბაძვად მოვიდოდით"... (ქართული... 2008: 314, 316).გიორგი მთაწმინდელის სიტყვების თანახმად, წმინდანის ღვაწლი უფლისათვის სამარადჟამოდ საჩინოა, მისი აღწერა სჭირდება მკითხველს/მსმენელს (ნათქვამში – "რაჲთა <u>წიგნთაცა შინა</u> აღიწერნენ საღმრთონი იგი", -ცა ნაწილაკი უკეთ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ ქვეყნადაც, "კვლა აქაცა" საჭიროა მოწამეთა ამბების აღწერა; ვინაიდან სხვაგან, სხვა სივრცეში უკვე არის ხმამიწვდენილი მარტვილთა "სრბის" შესახებ). მართვილნი თავიანი ცხოვრებით მოძღვრავენ ქვეყანას. თუკი მაცხოვარმა თავგანწირვით შეგვარიგა უფალთან, მოწამენი, როგორც მისი "მობაძავნი", ქრისტესთან გვაერთებენ.

ასეთია უფლის განკაცებამდე, სჯულისთვის თავგანწირულ "მაკაბელთა მარტვილობის" მოკლე შინაარსი: ურწმუნო მეფე ანტიოქოზი (ანტიოქოსი/ანტიოხოსი)[1]იუდეველთაგან მოითხოვსკერპთა თაყვანისცემას და ღორის ხორცის ჭამას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურჩებს სჯის მრავალგვარი სატანჯველით. წარმართი მეფის წინაშე, დაუმორჩილებლობის გამო, წარსდგება შვიდი ღვთისმოსავი მაკაბელი და მათი დედა. მეფე თითოეულ ძმას სიტყვით მიმართავს და მათგან მოითხოვს დამორჩილებას. აღსრულებამდე ძმებიმტკიცედ მიუგებენ ანტიოქოზს, რომ არ აშინებთ ამქვეყნიური სასჯელი და ესწრაფვიან ცათა სასუფეველს (მათი თავდადების მიზეზი არაა ოდენ სარწმუნოებრივი მოტივი, ისინი ეროვნული ინტერესების წარმომჩენლადაც გვევლინებიან).[1]

"წამება" საინტერესოა, ერთის მხრივ, მოწამეთა – შვიდი ყრმის თავდადების აღწერის, ხოლო, მეორეს მხრივ, მათი დედის თავგანწირვის ჩვენების თვალსაზრისით. თხრობა არის სადა, თუმცა მეტად დინამიკური, ექსპრესიული ხასიათის. თხზულება არაა გადატვირთული სასწაულებით, ავტორისეული შეფასებებით, წმინდა წერილიდან მოხმობილი ციტატებით. "მარტვილობის" საყრდენს, ერთგვარ კომპოზიციურ ღერძს წარმოადგენს მაკაბელ ყრმათა

დედის შეგონებანი შვილების მიმართ და თავად წამებულთა მიერ გამოვლენილი სიტყვიერი თუ ქმედითი საქციელი.

თხზულების მაღალმხატვრულ, ესთეტიკურ ღირებულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არაერთი ბიბლიური სიმბოლო, რომელთა მოხმობითაც სოლომონია – მოწამეთა დედაშვილებს შეაგონებს.

შუა საუკუნეების აზროვნებისთვის მეტად ნიშანდობლივია სიმბოლური სახეებით მეტყველება. მიზეზი სიმბოლოს კატეგორიის შემოტანისა თუ აღიარებისა არის ღვთის ტრანსცენდენტულობის, შეუცნობლობის, გამოუთქმელობისა და მიუწვდომლობის, რუსთაველის თქმით, "ვერ მიხვდომის" ("მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან") გააზრება. რაკი ადამიანის გონებას, მის შესაძლებლობებს არ შესწევს ძალა უმაღლესი ჭეშმარიტების პირდაპირი გზით გაგებისა, წვდომისა, იგი უნდა შეიმეცნოს სიმბოლური სახის მეშვეობით, უხილავ სამყაროს უნდა ჩასწვდესინტერპრეტაციის გზით. მაშასადამე, სიმბოლო შეიცავს ჭეშმარიტებას და მისი დეკოდირება უნდა მოახდინოს მსმენელმა/მკითხველმა. თუმცა ეს უკანასკნელი "კაცი ვარგი" უნდა იყოს, რადგან სიმბოლო, ამავდროულად, ფარავს, იცავს ჭეშმარიტებას უვიცთათვის, სათანადო მზაობის არმქონეთათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო მწერლობის თავისებურებათა გაგება, ამა თუ იმ თხზულების არსის წვდომა თითქმის შეუძლებელია ბიბლიური ამბების, მისი ენის, მეტყველების გათვალისწინების გარეშე.

"მარტვილობის" ერთ-ერთი გამორჩეული ეპიზოდია დედის მიმართვა საწამებლად მზადმყოფი შვილებისადმი. აი, როგორ მიმართავს სოლომონია მოწამეთ: "ჲ შვილნო ჩემნო, მოიწია დღჱ იგი ბრძოლისაჲ, განემზადენით და განძლიერდით და ნუ გეშინინ ამის გულისა წამლეანისაგან: განამტკიცენით გულნი თქუენნი და განეცხადენით ამას და ნუ გეშინინ სატანჯველთა მისთაგან, რამეთუ არარაჲ არს; მცირე მოთმინე იქმნენით და დაიმკჳდროთ სასუფეველი ცათაჲ უკუნისამდე; ნუ შესძრწუნდებით, რაჟამს-იგი იბრდღუენდეს თქუენ ზედა, ეცინოდეთ მას და უწყოდეთ, რამეთუ ღმერთი მამათაჲ თქუენ თანაა. განძლიერდით, შვილნო ჩემნო, და განაკჳრვეთ მეფჱ ესე და ნუ განიყოფით ურთიერთას, რაჲთა ერთობითვე დაიმკჳდროთ სასუფეველი იგი ცათაჲ.

ჲ შვილნო ჩემნო, რავდენნი ვაჭარნი არიან ზღუასა შინა ურვით და ჭირით და ეკედრებიან ღმერთსა, და ღმერთმან დაიცვნის იგინი, და შეიძინიან ფრიად. და თქუენცა, შვილნო ჩემნო, დაუთმეთ მეფესა ამას უკეთურსა და მოიღოთ გჳრგჳნი წამებისა თქუენისაჲ. ნუ გეშინინ, კრავნო ჩემნო უმანკონო, ამის ლომისაგან სისხლის-მჭამელისა, რამეთუ იგი საშინელ არს პირველ, რაჟამს იზახოს თქუენ ზედა, ხოლო უკუანაჲსკნელ უნდო და შეურაცხ არს. ნუ დაშრტებით, ლამპარნი ეგე ჩემნი ბრწყინვალენი, ქარითა ამით, რამეთუ ზეთითა მით უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲთა აღნთებულ ხართ თქუენ; ნუმცა მძლე გექმნების თქუენ მეფე ესე, რაჲთა არა მწუხარე იქმნეს დედაჲ თქუენი, ქალაქი ესე შეზღუდვილი:[2]დაუთმეთ მას, შვილნო ჩემნო, რაჲთა, რაჟამს იხილოს მოთმინებაჲ თქუენი, მართლუკუნიქცეს სირცხჳლეული.

ნუ გეშინინ, ორბნო ჩემნო ფრთემალენო; ნუ აღიტაცებით, რაჲთა არა გარდამოსცჳვეთ სიმაღლისაგან ცათაჲსა. ნუ გეშინინ, შვილნო ჩემნო, ძაღლისა ამისგან ბოროტისა. ნუ ზეუკუნიქცევით, რაჟამს იწყოს ყეფად. ნუ შესძრწუნდებით, ტრედნო ჩემნო მყუდრონო, სიმძაფრისა მისგან ამის გავაზისა განმრყუნელისა, არამედ შეაწყვენით ფრთენი თქუენი ურთიერთას, ვითარცა ზღუდეთა აღუვალთა. ნუ გეშინინ, ხუროთ-მოძღუარნო ჩემნო ბრძენნო, ამის ცოფისა და ბილწისაგან, ნუმცა გაცთუნებს თქუენ და განგაბნევს ზახილი მისი განქარვებადი.

ნუ შესძრწუნდებით, მუშაკნო ჩემნო კურთხეულნო, ამის არმულისაგან მომავლისა, რაჲთა წარხჳდეთ და დაიძინოთ საგრილსა ქუეშე სამოთხისა ნერგთასა. მცირედ ჟამ დაითმინეთ, რაჲთა აგრილნეს თქუენ ზედა დღჱ, და ისწავენით თქუენ სიტყუანი შჯულისანი, ვითარ-იგი

აღეზარდენით თქუენ, და გაწოებდი ძუძუითა ჩემითა, და ესრეთ აღორძინდეს გულნი თქუენნი ჩემითა სწავლითა, რაჲთა იყვნეთ თქუენ მოწამე უფლისა ღმრთისა ჩემისა"... (იმნაიშვილი 1980: 30-31).

ზემომოხმობილი ეპიზოდი გვაუწყებს, რომ სოლომონია მეფეს "წამლეან გველს" უწოდებს.

გველი ეგვიპტურ კულტურაში განასახიერებს ყოვლისშემძლე ძალას, რომელსაც შეუძლია სიცოცხლის მინიჭებაც და წართმევაც. მას ძველი ეგვიპტელები გამოსახავდნენ ტაძრებზე, როგორც ამგვარი ძალის მქონე ემბლემას. მათსავე კულტურაში მიწისძვრათა ღვთაება, უზარმაზარი გველი ვარზუკი დანარჩენ ღვთაებებსა და ტიტანებს დაეხმარა, რათა აეთქვიფათ ოკეანე და შეექმნათ ხმელეთი.

ანტიკურ სამყაროში გველი სიბრძნის ქალღმერთის – ათენას ატრიბუტია; საღვთო წერილის მიხედვით კი "ძე ხორციელის" მიწიერი ცხოვრება სწორედ გველის მაცდუნებელი კარნახით იწყება (აბზიანიძე... 2011: 53).

გველის გონიერებაზე მითითებას ვხვდებით "შესაქმის" წიგნში: "ხოლო გუელი იყო უგონიერეს უფროჲს ყოველთა მჴეცთა ქუეყანასა ზედა, რომელნი ქმნნა უფალმან ღმერთმან" (დაბ.3:1)(მცხეთური ხელნაწერი 1981: 51). გონიერება გულისხმობს იდუმალებასა და ცბიერებასაც, ვინაიდან, როგორც ვიცით, სწორედ ამ ცხოველის ბუნებით ისარგებლა ეშმაკმა და აცდუნა ევა. ამის შესახებ წმ. იოანე ოქროპირი წერს: მსჯელობა უნდა წარვმართოთ იმ მიმართულებით, რომ ის სიტყვები, რაც ევას ესმა, ეკუთვნოდა ეშმაკს, რომლის მოშურნეობითაც შემოვიდა სამყაროში სიკვდილი. მან ამ ცხოველით, როგორც იარაღით ისე ისარგებლა (ლოპუხინი 2000: 62) ამის შემდგომ კი ეს არსება დაწყევლა, მიწაზე ხოხვა და მტვრის ყლაპვა მიუსაჯა (დაბ. 3:14)(მცხეთური ხელნაწერი 1981: 52). ბიბლიის ალექსანდრე ლოპუხინისეული განმარტების თანახმად, ხოხვა არ წარმოადგენდა რაღაც ახალ მოქმედებას. იგი იყო გველისათვის ბუნებრივად დამახასიათებელი რამ. მას შემდეგ, რაც ამ ცხოველში ჩასახლდა ეშმაკი და აცდუნა ევა, ხოხვა იქცა დამცირებისა და ზიზღის გამომხატველად. ამგვარი მიდგომა მიემართება როგორც უშუალოდ ამ ქვეწარმავალს, ისე ეშმაკს. ეს უკნასკნელი განწირულია საიმისოდ, რომ ხოხვისას იკვებოს ყოველგვარი უწმინდურით, რომელიც, თავის მხრივ, მის მიერ შთაგონებული ცოდვის ნაყოფს წარმოადგენს (ლოპუხინი 2000: 68).

წმინდა წერილში არაერთხელაა ნახსენები გველის სახელი გადატანითი მნიშვნელობით. მაგალითად, დავით მეფსალმუნის მიხედვით, უწმინდურ ადამიანთა ვერაგობა გველის ბუნებასთანაა შედარებული: "აღილესეს ენაჲ მათი ვითარცა გუელისაჲ, და გესლი ასპიტთაჲ ბაგეთა მათთა" (ფს. 139:3)(ფსალმუნნი... 2012: 358). ნეტარი თეოდორიტე კვირელის თვალსაზრისით, "ფსალმუნის" ავტორმა ცბიერი ზნე და ფარული მზაკვრობა სამართლიანად მიამსგავსა ქვეწარმავალთა ზნეს (ფსალმუნნი... 2012: 358).

ანტიოქოზ მეფის გველის ბუნებასთან ახლოსმყოფობა ნათლად ვლინდება თხზულების არაერთ მონაკვეთში. მაგალითად, მეფის მზაკვრობაზე მეტყველებს ის ეპიზოდი, როდესაც იგი დამორჩილების სანაცვლოდ პირველ ძმას სიმდიდრეს სთავაზობს (იმნაიშვილი 1980: 32), ან როდესაც "იწყო მეფემან ლიჭნად მისა [მესამე ძმისა] და ცთუნებად" (იმნაიშვილი 1980: 34). ასე მიმართავს ანტიოქოზი მეოთხე ძმას: "შენ მიგცე ესე ყოველი, უკეთუ დასდვა კერპსა ამას ზედა ჴელი შენი და თაყუანის-სცე, ანუ გემოჲ იხილო ღორის ჴორცისაჲ, ესრჱთ დიდებულ იყო შენ... ისმინე ჩემი და უგე, და მიგცე შენ საფასე დიდი, და იყო შენ ჩემდა მეგობარ" (იმნაიშვილი 1980: 35). ეს ეპიზოდი, მიუხედავად იმისა, რომ აგიოგრაფიული ნაწარმოების სქემის გამოხატულებაა (ამირხანაშვილი 2004: 6), მართლაც, გამოძახილია ადამიანის პირველი შეცოდებისა და დაცემისა. გავიხსენოთ, როგორ აცდუნა ევა ეშმაკმა – დაცემულმა ანგელოზმა. მან პირველქმნილ ადამიანებს აღუძრა სურვილი ღმერთთან გატოლებისა, იმისა, რომ ყოფილიყვნენ "მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა"(დაბ. 3:5)(მცხეთური ხელნაწერი 1981: 52).

გონიერება, შესაძლებელია, ემსახუროს როგორც სიკეთეს, ისე - ბოროტებას. მზაკვრობა, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია გონიერებასთან. სამყაროს შემოქმედის მოპაექრე ეშმაკი სწორედ ამგვარ, - მზაკვარ ძალას წარმოადგენს. მან იცის, თუ რატომ შეჰყავს შეცდომაში ღვთის ხატად და მსგავსად, სამყაროს გვირგვინად შექმნილი ადამიანი. ასეთსავე მაცდუნებელ, მზაკვრულ დამოკიდებულებას ვხედავთ მეფე ანტიოქოზის მიმართვაში, როდესაც ის მეოთხე ძმას მოუწოდებს, რომ დათმოს რჯული. მეტიც, მას სურს, საწამებლად გამზადებულმა მაკაბელმა ეჭვი შეიტანოს არათუ ღვთის კეთილ ნებაში, არამედ მის არსებობაშიც კი: "სადა არს ღმერთი იგი თქუენი? მოვედინ აწ იგი და გიჴსნენინ ჴელთაგან ჩემთა" (იმნაიშვილი 1980: 34). ეს მონაკვეთი ემსგავსება სახარებისეულ ეპიზოდს, როდესაც ეშაკი მთაზე აიყვანს ქრისტეს და ეტყვის, რომ გადავარდეს,თუკი ღვთის ძე და ჭეშმარიტების მაქადაგებელია; ვინაიდან მაშინ, ღმერთი მას გამოუგზავნის ანგელოზებს, ისინი ცად აღიყვანებენ და უვნებელი დარჩება (მათ. 4:5-7)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 6, 7).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, სიტყვებით - "უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ" - ეშმაკს სურს, რომ ქრისტეში დიდებისმოყვარეობა აღძრას. მისი სიტყვები გულისხმობს, რომ არ სჯერა ზეციური ხმის, თითქოს უნდა, თავად იესომ უჩვენოს, რომ ღვთის ძეა იგი (ნეტ. თეოფილაქტე 2012: 65). ასევე მოქმედებს მეფე, რომელიც სახეა ბოროტებისა.

ანტიოქოზის ბოროტი ნების განუზომლობა უკეთ ჩანს მეშვიდე ძმის წამებამდე, როდესაც "სირცხჳლეულ იქმნა მეფჱ, ვითარცა იგი სირცხჳლეულ იქმნა ეშმაკი, მამაჲ მისი, იობისაგან მართლისა. და უნდა მეფესა, რაჲთამცა დაუტევა ყრმაჲ იგი დედასა თჳსსა, და შურდა, რაჲთა არა სირცხჳლეულ იქმნეს მდგომარეთაგან მის ყრმისა მიერ" (იმნაიშვილი 1980: 37). იმის გამო, რომ ძმათაგან არცერთმა უარყო რჯული და მტკიცედ იდგნენ სარწმუნოებაზე, მეფე სირცხვილის გრძნობით აღივსო. თუმცა ეს არაა სინდისის ქენჯნით გამოწვეული სირცხვილი, რომელიც ადამიანის შინაგან, სულიერ სამყაროში გამოღვიძების სახით შეიძლება წარმოგვიდგეს. არამედ ესაა პატივმოყვარეობისაგან გამოწვეული შიში.

ანტიოქოზი იხმობს სოლომონიას და სთხოვს, რომ შეაგონოს დედამ თავისი ვაჟი – დაემორჩილოს მეფის ბრძანებას. მისი თქმით, ასე შეძლებს დედა სიბერის შეიწყალებას და არ დარჩება უშვილძიროდ; "ლიქნად" დაუწყებს უმცროსი ვაჟის ქებას: "დაუტევე ტევანი ერთი შენთვის და თავი ერთი, რაჲთა იყოს შენდა ნუგეშინის-საცემელ... რაჲთა არს იგი ჰასაკითა შუენიერ, ვითარცა კჳპაროზი. ჰ დედაკაცო, რაჲღა გულფიცხელ ხარ და უწყალო ამის მცირისათვის!" (იმნაიშვილი 1980: 37).მეფეს არათუ უმცროსი მაკაბელის, არამედ დედის ცდუნებაც განუზრახავს. მას ნამდვილად კი არ "ეწყალვის" რომელიმე, არამედ განდიდებით შეპყრობილს, ეშინია გარშემომყოფთა თვალში არ დაკარგოს ღირსება და მის მიმართ არ გაუქრეთ შიში და კრძალვა.

გველის სახე-სიმბოლოს განმარტებისას, როდესაც, უპირველესად, ბიბლიური ეპიზოდების მოხმობით ვიფარგლებით, შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, თუ როგორ შეიძლება გავიგოთ ქრისტეს სიტყვები, როდესაც ის მოწაფეებს მოძღვრავს, რომ ისინი უნდა იყვნენ "მეცნიერ, ვითარცა გუელნი" (მათ. 10:16)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 19). იესოს სურს, რომ მოწაფეები ბრძენნიც იყვნენ, რადგან იმის გამო, რომ მათ ცხვრები უწოდა, არავინ დაასკვნას, თითქოს ქრისტიანი დაუდევრად მიამიტი უნდა იყოს. პირიქით, საჭიროა სიბრძნე, რათა ადვილად არ დამარცხდესგარშემომყოფ მტერთა წინაშე. გასათვალისწინებელია, რომ ამ მითითებას მოსდევს სიტყვები: ..."და უმანკონი, ვითარცა ტრედნი"(მათ. 10:16)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 19).ე.ი. არც მარტოოდენ გონიერებაა საკმარისი და არც - სიწრფელე. ჭეშმარიტი ქრისტიანი სიბრძნისა და უმანკოების შემზავებელი, კეთილგონიერი უნდა იყოს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ქრისტიანობაში გველი დამკვიდრდა ყოველგვარი უკეთურების მომტანი ძალის სახედ. ასე რომ, ანტიოქოსს, როგორც სახეს მიწიერი, ამ ქვეყნიური ცხოვრებისას, სიამეთა და დიდებისმოყვარისას, როგორც მაცდური ძალისას, უდაბნოში მცხოვრებისას (ღვთის მადლით დაურწყულებული), პირფერისა და

ვერაგისას, ნათლად წარმოგვიდგენს ეს ხთონური არსება, რომელშიაც გაერთიანებულია უკეთურების მომტანი მრავალი თვისება.

"წამებიდან", ზემომოხმობილი ვრცელი ციტატის მიხედვით, ვიგებთ, რომ გამხნევებისას სოლომონია შვილებს ზღვაში მყოფ ვაჭრებს ადარებს და სთხოვს მათ, ისევე დაითმინონ მოსალოდნელი საფრთხე, როგორც "ზღუასა შინა ურვით და ჭირით" მყოფნი ითმენენ განსაცდელს (იმნაიშვილი 1980: 30).

კულტურათა უმეტესობაში ზღვა მოძალებულ, მოულოდნელ და ხშირად უმართავ ძალთა სიმბოლოა. მითოლოგიური ოკეანე ამბივალენტური დატვირთვისაა: მის იდუმალ სიღრმეში ბინადრობენ ურჩხულები, კიდევ უფრო საშიშნი და ამოუცნობნი, ვიდრე მიწაზე არსებულნი (აბზიანიძე... 2011: 84).

"ფსალმუნთა" მიხედვით, ზღვა ღვთის სიტყვით წყნარდება (ფს. 64:7; 88:10; 106:29)(ფსალმუნნი... 2012: 155, 216, 269), ზღვის ხმაურიანობასა და ქარიშხლიანობაზე გვესაუბრება ლუკა მახარებელი(ლუკ. 21:25)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 151)და მისგანვე ვიგებთ, რომ ზღვაზე ნაოსნობა არ არის ყოველთვის უხიფათო საქმე (საქმ. 27:9, 20) (ახალი აღთქუმაჲ 2013: 263, 264).;იოანეს გამოცხადებით კი, ახალ მიწაზე ზღვა არ იქნება (გამოცხ. 21:1)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 460).

"წამების" მოხმობილი ეპიზოდიდან ჩანს, რომ ზღვა განსაცდელის, ჭირის, ურვის, წუთისოფლისეულ საწუხართა გამომხატველი სიმბოლოა. იგი, შესაძლოა, სულის შფოთვასაც დავუკავშიროთ. დედის სიტყვების თანახმად, საწმებლად გამზადებული ყრმანი არ უნდა შეუშინდნენ მის ბობოქარ და ცვალებად ბუნებას, "ჯერ არს" დათმონ ეს ამაო წუთისოფელი, უნდა ევედრნენ ღმერთს მოწყალებასა და მფარველობას. ამგვარად გადარჩებიან ისინი და "მოივაჭრებენ" – მოიპოვებენ ღმრთის სიყვარულს.

როგორც ჩანს, "ვაჭრობა" სულიერ პლანში გასააზრებელი აქტია: მაკაბელებმა მტკიცე ქმედებით, რჯულის დაუთმობლობით უნდა შეიძინონ ღმერთი. სოლომონიას სიტყვებით, თუკი ყრმანი "დაუთმობენ" უკეთური მეფის ქმედებას, მიიღებენ წამების გვირგვინს – სხვა სახის, სხვა მნიშვნელობის მქონე ზეობას.

სიმბოლური აზროვნების გამომხატველ ერთ-ერთ მაგალითად გვესახება ის ეპიზოდი, როდესაც დედა მოწამე შვილებს ლომის ხახაში ჩაცვენილ კრავებს ამსგავსებს.

ცხვრის, კრავის სამსხვერპლო ცხოველად მიჩნევას უძველესი ტრადიცია აქვს და ახლო აღმოსავლეთის იმ მომთაბარე ტომებიდან მომდინარეობს, რომლებიც გაზაფხულის დადგომას ახლადდაბადებული კრავის შეწირვით ეგებებოდნენ (აბზიანიძე... 2011: 114).

ჩვენთვის ყველაზე თვალსაჩინოა იპოდიგმური სახე ძველი აღთქმისა, როდესაც აბრაამის მიერ სამსხვერპლოზე შესაწირავად მიყვანილ ისაკს ღმერთი ცოცხალს დატოვებს და მის ნაცვლად ცხვრის (ტარიგის) შეწირვას მოითხოვს (დაბ. 22:12-13)(მცხეთური ხელნაწერი 1981: 81, 82).

კრავი მეტად გავრცელებული სიმბოლოა აგიოგრაფიაში. ზოგჯერ მას ენაცვლება ტარიგი. ეს სახე შექმნილია "იოანეს სახარებაში" ქრისტეზე ნათქვამი სიტყვების ანალოგიით ("ხვალისა დღე დგა კუალად იოვანე და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი. და მიჰხედა იესუს, ვიდოდა რაჲ იგი და თქუა: აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ" (იოან. 1:29, 35-36)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 160, 161), რომელიც კიდევ უფრო აკონკრეტებს მნიშვნელობას: იგი მსხვერპლად მისატან, შესაწირავად გამზადებულ ცხოველზე მიგვანიშნებს.

სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედიის მიხედვით, კრავს კედელზე გამოსახავდნენ ჯერ კიდევ რომის კატაკომბებს თავშეფარებული ქრისტიანები და მცირედმა თუ იცოდა მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობის შესახებ. მოგვიანო ხანებში ამ ტრადიციას წინ აღსდგომია მართლმადიდებლური იკონოგრაფია და VII საუკუნის ბოლოს საეკლესიო კრებას აუკრძალავს კრავის სახით მაცხოვრის გამოსახვა (თუმცა ეს ტრადიცია კათოლიციზმში დღემდეა შემორჩენილი). რაც შეეხება მაცხოვრის გამოსახულებას კისერზე მოგდებული ცხვრით, ამ

შემთხვევაში ცხვარი მის სამწყსოს განასახიერებს, თავად ქრისტე კი წარმოგვიდგება, როგორც "მწყემსი კეთილი" (აბზიანიძე... 2011: 114).

ამრიგად, მაკაბელთა დედა გრძნობს, რომ არ კმარა მხოლოდ მოწაფეობა და ყრმები შესაწირავად გამზადებულ კრავს უნდა ემსგავსონ.

"ნებისმიერი "სიტყვიერი ხატი" მხოლოდ მაშინ გარდაისახება სიმბოლოდ, თუ მასში ფიქსირდება რაღაც სხვაც – "არაცნობიერი ასპექტი", რომელიც არასოდეს არ აიხსნება ერთსახად, ის მრავალსახოვანი, მრავლისმთქმელი და, აქედან გამომდინარე, დინამიურიცაა" (ელაშვილი 2009: 39). შესაბამისად, შესაძლოა, რომ ამა თუ იმ სიმბოლოს, სხვადასხვა დროს, განსხვავებული მნიშვნელობა მიეცეს. ისიც საფიქრებელია, რომ ერთსა და იმავე სახეს რამდენიმე დატვირთვა ჰქონდეს. ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ერთ-ერთ სიმბოლოს, რომელიც თუ არა მისი ეპითეტით დაზისტება, პასუხგაუცემელ კითხვას დაუტოვებდა მსმენელს/მკითხველს.

"მარტვილობაში" გამოვლენილია ლომის სიმბოლო, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, ანტიოქოზის სახეს გამოხატავს. უპირველესად, სასურველია გავიაზროთ, თუ რა წარმოდგენები არსებობდა ძველად ამ ცხოველის შესახებ.

საზოგადოდ, ლომი საღამოობით ნადირობს და დღისით უმეტესად თვლემს. ცხოველთა შორის ის გამოირჩევა განსაკუთრებული ძლიერებით, სისასტიკითა და მძვინვარებით.

აფრიკაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მეტად გავრცელებულია ერთი მხატვრული სიუჟეტი: გამძვინვარებული ლომი უმოწყალოდ ჯიჯგნის ხარს, ცხენს ან რომელიმე ცხოველს. ეს სცენა წინააღმდეგობათა – სიკვდილ-სიცოცხლის, მზისა და მთვარის, მძლეველისა და ძლეულის... ერთიანობის გამომხატველი უნდა იყოს (აბზიანიძე... 2011: 125, 126).

"შესაქმის" წიგნი გვამცნობს, რომ "ლომად" იწოდებოდა იუდა: "ლეკჳლომის იუდა, მცენარისაგან, შჳლო ჩემო, აღმოჴედ. მიწოლით დაიძინო, ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან, ვინმე აღადგინოს იგი? არა მოაკლდეს მთავარი იუდასაგნ და წინამძღუარი წყვილთაგან მისთა ვიდრემდე მოვიდეს, რომლისა-იგი განმზადებულ არს და იგი არს მოლოდება წარმართთა" (დაბ. 49:9-10)(მცხეთური ხელნაწერი 1981: 140).

ბიბლიის განმმარტებელთა თვალსაზრისით, იუდას კურთხევის ეპიზოდი მესიანუსტური იდეის მატარებელია, ე.ი. იდუმალებით მოცული კურთხევა მოასწავებდა ყოველივე იმას, რაც შეეხებოდა ქრისტეს. საინტერესოა ისიც, რომ ისრაელის მოდგმა შემდგომში იუდას სახელის მატარებელი ხდება – ისინი იწოდებიან იუდეველებად. იუდა იბატონებს ისრაელის ყველა მოდგმაზე... "და არა მარტო ბრძოლის დროს, თვით ყველაზე მშვიდობიან დროსაც კი ქედს მოიდრეკენ შიშნარევ თაყვანისცემად ყველანი, რადგანაც იგი იქნება ლომის ბოკვერი, ხვადაგი და განსაკუთრებით - ძუ ლომი, რომლებიც მძინარენიც კი შიშს აღძრავენ (ლოპუხინი 2000: 423).

გარდა იუდასი, "ბიბლიაში" "ლომად" იწოდება ეკლესიის მფარველი ღმერთი. ესაია წინასწარმეტყველის მიხედვით, "ვითარსახედ ოდეს იყჳრნეს ლომმან, ანუ ლეკუმან ლომისამან ნადირსა ზედა, რომელი შეიპყრას და დაიზახნეს მას ზედა, ვიდრე არა აღივსნიან მთანი ჴმითა მისითა, და იძლინეს და სიმრავლითა გულისწყრომისათა წიწნეულ იქმნეს, ეგრეთ გარდამოვიდეს უფალი საბაოთ მოლაშქრებად მთასა ზედა სიონსა, მთათა ზედა მისთა"...(ეს. 31:4)(მცხეთური ხელნაწერი 1985: 108).წინასწარმეტყველი გვიამბობს ღვთის უძლეველობის შესახებ, რომ იგი ბრდღვინავს ლომივით (ან ლომის ბოკვერის მსგავსად) და შედარებულია ამ ცხოველის უშიშარ, უდრეკ ძალასთან.

შურისმაძიებელ ღმერთს ვხედავთ როგორც "იობის" (იობ. 10:16)(http://www.bible.ge/Manuscript/1win.htm), ისე "რიცხვთა წიგნში": "აჰა, ესერა მან, ვითარცა ლეკუმან ლომისამან განიღჳძოს და ვითარცა ლომი იბრდღუენდეს, არა დაიძინოს

ვიდრემდის არა ჭამოს ნადირი და სისხლი წყლულთაჲ სუას"(რიცხ. 23:24)(მცხეთური ხელნაწერი 1981: 326).

ახალ აღთქმაში ეს სიმბოლური სახელი მიემართება ქრისტეს და იგი მოიხსენიება ლომად – იუდას შტოდან: "და ერთმან მღდელთა მათგანმან მრქუა მე: ნუ სტირ, აჰა ესერა სძლო ლომმან თესლისაგან იუდაჲსა, ძირმან დავითისმან, რომელმან აღაღოს წიგნი და შჳდნი იგი ბეჭედნი მისნი" (გამოცხ. 5:5)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 441)"ლომი" აქ აღნიშნავს მძლავრს, გმირს და იგულისხმება მესია – ქრისტე (ბერ. სერაფიმე2012: 99).

ლომია აგრეთვე სიმბოლო მარკოზ მახარებლისა, რომელიც, "ფრთოსან ლომად" წარმოგვიდგება (ვენეცია, როგორც სავანე მახარებლის წმინდა ნაწილებისა, გამოირჩევა სწორედ "ფრთოსან ლომთა" გამოსახულებების სიუხვით).

მოხმობილი ეპიზოდების განხილვის მიხედვით, ლომი გაიაზრება ღვთიური ძლიერების, მეუფების უძლეველ სიმბოლოდ.

დაისმის კითხვა, თუ როგორ გავიგოთ დავით ფსალმუნთმგალობლის სიტყვები, როდესაც ის მიმართავს ღმერთს: "შემრაცხეს მე, ვითარცა ლომი განმზადებული ნადირსა და ვითარცა ლეკჳ ლომისაჲ, იყოფებინ რაჲ ფარულთა" (ფს. 16:12)(ფსალმუნნი... 2012: 36). აშკარაა, რომ დავითი აქ უარყოფით კონტექსტში, მწუხარებით აღვსილი განიხილავს "მაჭირვებელთა" ლომსა და ლომის ლეკვთან მსგავსებას. მისი თქმით, ისინი მხეცებს ბაძავენ, რომელნიც საჭმლის სურვილით მსხვერპლს უთალთვალებენ და თავს მოულოდნელად ესხმიან.

ვითვალისწინებთ რა ზემომიხმობილ ციტატებს, რთულია მიხვდეს მკითხველი ავტორის ჩანაფიქრს, თუკი ეს სახე-სიმბოლო კონტექსტიდან დაშორებულად, მოწყვეტით განიხილება. "წამებაში" ლომის სიმბოლოს არსის გასაგებად ჩვენთვის უპირველესი გზამკვლევია ეპითეტი "სისხლისმჭამელი". ეს თვისება თავისთავად მიანიშნებს ლომის ვერაგულ, მავნებლურ ბუნებაზე. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რატომ ემსგავსება ანტიოქოზ მეფე სისხლისმჭამელ ლომს: ის არის ძლიერი, თუმცა მისი ძლევამოსილება ბოროტებას ემსახურება – ვერ ძღება სისხლის სმით და მოაკვდინებს შვიდ ვაჟს; როგორც ლომი არ ჩნდება სინათლეზე, ე.ი. ბნელში მყოფი ნადირობს, ისევე მეფეც – დღისით იმალება, ან უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, დღეს ემალება და უმეცრების სიბნელეში მყოფი სპობს მაკაბელ ჭაბუკებს.

აქ შემოდის სიბნელის, წყვდიადის ბიბლიური გაგება. დავით მეფსალმუნის მიხედვით, ბოროტნიბნელში ცხოვრობენ ("მსხდომარენი ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა, კრულნი გლახაკებითა და რკინითა, რამეთუ განამწარნეს სიტყუანი ღმრთისანი და ზრახვაჲ მაღლისაჲ განარისხეს" (ფს. 106:10-11)(ფსალმუნნი... 2012: 267, 268)და დაიარებიან (ფს. 81:5)(ფსალმუნნი... 2012: 200), ე.ი. მათთვის უცხოა სულიერი ნათელი და სიბნელით ანუ უმეცრებით, უგუნურებით არიან მოცულნი. გასათვალისწინებელია, რომ ლომის (ისევე, როგორც გველის)ერთ-ერთი სამყოფელი არის უდაბნო. ანტიოქოზ მეფე, როგორც ამ გარეული ცხოველის თვისებების მქონე, ღვთიურ მადლს მოკლებულ ადამიანად წარმოგვიდგება. "უდაბნო", სულხან-საბასეული განმარტებით, "იგი არს, სადა არა არს" (ორბელიანი 1993: 154). ეს არის ადგილი, რომელიც წყალუხვობასაა მოკლებული. შესაბამისად, ანტიოქოზ მეფე, ვითარცა მსგავსი ლომისა (ხოლო ლომი, თავის მხრივ, უდაბნოს მკვიდრი), წარმოგვიდგება გაუდაბნოებული გულის მქონე ადამიანად, იგი დაურწყულებულია საღვთო მცნებათა შეუცნობლობითა და აღუსრულებლობით, მოკლებულია კეთილგონიერებასა და ღვთივსულიერების მადლს. ჩვენს ნათქვამს ერთგვარად ეხმიანება პეტრე მოციქულის სიტყვები, რომლიც სატანას მოიხსენიებს ლომად: "განიფრთხვეთ, მღჳძარე იყვენით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყჳრალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა (1 პეტ. 5:8)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 281).

ამრიგად, სოლომონია მოახლოებული საფრთხის წინაშე ამზადებს, ამხნევებს და შეაგონებს შვილებს, რომ მეფის თავდაპირველი მრისხანება იქნება საშინელი, "ხოლო უკუანაჲსკნელ -

უნდო[4] და შეურაცხ"(იმნაიშვილი 1980: 30) - ე.ი. არაფრად ჩასაგდები, არად მისაჩნევი, ვინაიდან ღვთის მოიმედეს მუდამ იცავს ღმერთი, უხილავი თუ ხილული მტრისაგან.[5]

გარდა იმისა, რომ, როგორც ზემოთ მივუთითეთ, სასულიერო მწერლობაში ორი ძირითადი თემის – სიკეთისა და ბოროტების (პირობითად თეთრისა და შავი ფერის) დაპირისპირებაა წარმოჩენილი, "მარტვილობაში" ანტიოქოზ მეფის სახის ნათელსაყოფად უშუალოდაა დასახელებული შესიტყვება – "წყუდიადი ბნელისაჲ". ასე მიმართავს მეფეს წამების წინ მეორე ძმა: "კეთილად ჰყოფ, რამეთუ იწყე თავით ჩემით, ᲐᲑ წყუდიადო ბნელიაო, რამეთუ აჰა ესერა განმზადებულ არს ჩემთჳს გჳრგჳნი უხრწნელი"... (იმნაიშვილი 1980: 34). საყურადღებოდ გვევლინება ის ფაქტი, რომ მეფეს მიემართება "წყვდიადი", რომელიც ერთგვარი მახასიათებელია, შეიძლება ასე ითქვას, ხარისხია სიბნელისა.

ბიბლიური გაგებით, ორგვარი სიბნელე არსებობს. ერთია – ღვთის სიდიადის გამომხატველი (როგორც წესი, ასეთდროს ხდება სასწაული, - მორწმუნეებს მზე უბნელდებათ, თვალის ჩინი ეკარგებათ ან სხვ. მაგ.: მოსე, აბრაამი...), ხოლო მეორის ეიკონური სახისმეტყველება ურწმუნოთა სულიერი უსინათლობის, სიბრმავის წარმომჩენია. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ საწამებლად მზადმყოფი ძმა ანტიოქოზს არამხოლოდ ურწმუნო, არამედ უმეცრების, ღვთის სიდიადის შეუცნობლობისა და მიუწვდომლობის უმაღლეს საფეხურზე მყოფად წარმოგვიდგენს.

სახეობრივი ნაკადი აგიოგრაფიულ ნაწარმოებს, ერთგვარად, სიტყვაკაზმული მწერლობის კუთვნილებად წარმოგვიდგენს. ამიტომაც ბუნებრივია, ამ ტიპის თხზულებაში, როგორც ვ. ნოზაძე მიუთითებს, საჭიროა თითოეული სიტყვის "გამოშიგვნა". ერთ-ერთი ასეთი სახეა წარმოჩინდება თხზულების იმ პიზოდში, როდესაც სოლომონია შვილებს საღმრთო ზეთით ანთებულთ უწოდებს. მაკაბელ ყრმათა "ზეთითა აღნთებულ ლამპართან" შედარება, ცხადია, არ უნდა იყოს შემთხვევითი.

თუ ყოფაში ლამპარი ადამიანს ეხმარება გზის გაგნებაში, მეტაფორულ აზროვნებაში ის სულიერ გზას ანათებს, უპირისპირდება უკუნეთს, არყოფნას. მან უნდა გაფანტოს უმეცრების სიბნელე. ლამპარი "ტრადიციულად განასახიერებდა გონებისა და სულის გასხივოსნებას, სიმართლეს, თავად სიცოცხლეს" (აბზიანიძე... 2011: 119).

ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნში გადმოცემულია, თუ როგორ უამბობს იგი (წინასწარმეტყველი) გამოცხადებულ ანგელოზს, რომ მან იხილა "საბაზმაკე"ოქროისაჲ (ზაქ. 4:2)(მცხეთური ხელნაწერი 1986: 98).[6] აღნიშნული ეპიზოდიდან ვიგებთ, რომ სასანთლეს – რეალურ, ყოფით ნივთს, შვიდი "შტო" აქვს სანათებლად(ზაქ. 4:2)(მცხეთური ხელნაწერი 1986: 98). რაც შეეხება ზეთს, მის უკმარობა დიდი უბედურება იყო (ანგ. 1:11))(მცხეთური ხელნაწერი 1986: 92), ხოლო მის შესანახავად იყენებდნენ თიხის ჭურჭელს (IV მეფ. 4:2)(მცხეთური ხელნაწერი 1982: 198).

აღნიშნული სახე ორგანულად უკავშირდება და ერწყმის დედის მიერ მანმადე ნათქვამს. სოლომონიას, ყრმები, ვითარცა ღვთის მცნებათა დამცველნი, სულიერი სინათლით გაბრწინებულად მიაჩნია. ზეთი, რომელიც, ლუკა მახარებლის მიხედვით, სამკურნალო თვისების მქონეა (ლუკ. 10:34)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 124-125), შესაძლოა გავიაზროთ, როგორც სწავლება ღვთისა, რომელიც უნდა დაემკვიდროს, დავანდეს ქოთნის ჭურჭელში – "ქუეყანისა მტუერისა მიმღებელ", მიწის მტვრისაგან გამოსახულ ადამიანში, რათა განკურნოს მისი სული ცოდვათა სნეულებისაგან.

მართლაც, ამ სახე-სიმბოლოს ამგვარად განმარტების ერთგვარ გამართლებას, დადასტურებას ვხედავთ "წამების" ბოლოს, როდესაც ყრმანი გარშემომყოფთა სულიერი გზის გამნათებლებად, გზამკვლევებად გვევლინებიან: "და შეკრბა კრებული დიდძალი ხილვად დიდსა მას საკჳრველებასა, რომელ ეგევითარი არასადა ეხილვა ქუეყანასა ზედა... და ყოველთა, რომელთა ესმა ამისთჳს, ჰრწმენა ღმერთი და განმტკიცდებოდეს. და მრავალნი მისცემდეს თავთა მათთა სატანჯველთა ღმრთისათჳს"... (იმნაიშვილი 1980: 30).

“ლამპართან” ერთად, საჭიროა “წამებაში” გამოვლენილი “სანთლის” სახისმეტყველებითი გააზრებაც. აღნიშნული სამჯერ გვხვდება თხზულებაში და მას სამივეჯერ დედა ასახელებს, როგორც შვილებისადმი მიმართულ სახეს.

მას შემდეგ, რაც “ძჷ თჷსი უხუცჷსი”აღესრულება, სოლომონია ადიდებს ღმერთს და იტყვის: “ესე მარცუალი ერთი იფქლისაჲ განერა და დაიდვა საუნჯესა მას ზეცისასა, სადა იგი არა არს მღილი, არცა მჭამელი, და ესე ნავი ერთი მიიწია ნავთსადგურსა მას ზეცისასა და სანთელი ესე ერთი დაშთა დაუშრეტელად ამის ქარისაგან, და კრავი ერთი განერა მჴეცისაგან, და ტრედი ერთი დაიცვა გავაზისაგან განმრყუნელისა” (იმნაიშვილი 1980: 30). თითქმის იმავეს წარმოთქვამს ხუთი შვილის წამების შემდეგ: “გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ ხუთნი სანთელნი ჩემნი ბრწყინავენ ცათა შინა, ვერ შეუძლო მათ ქარმან უღმრთოებისამან დაშრეტად” (იმნაიშვილი 1980: 36); წამების წინ კი ასემიმართავს უმცროს ვაჟს: “ნუ იყოფინ შენდა, სანთელო ჩემო, ვითარმცა დაივსე ძმათა შენთა შორის” (იმნაიშვილი 1980: 38).

მოხმობილი ეპიზოდის მიხედვით, დედა სანთელს ადარებს შვილებს და თითოეულის გამო შიშობს, რომ არ დაშრიტოს ისინი ქარმა.

“სანთლის” სიმბოლო, ისევე, როგორც “ლამპრისა”, გვაძლევს მანათობლის, სიბნელეში სინათლის შემტანის გაგებას. მისი უპირველესი დანიშნულება ის იყო, რომ გაენათებინა წყვდიადი.

სასულიერო ლიტერატურაში ხშირია “ნათლის” მოხმობა, ისერთგვარი მეტაფორული შაბლონია აგიოგრაფიისთვის. კორნელი კეკელიძე შენიშნავს, რომ ერთ-ერთი ფილოსოფიური სკოლის (სეითიანები, პტოლემეოსი) წარმომადგენელთა მიხედვით, ზეციური მამა პირველადი ნათელია, მისი არსება – მუდმივი, აბსოლუტური ნათელი (კეკელიძე 1981: 192).

არეოპაგიტული მოძღვრების თანახმად, სიბნელეს არ აქვს სუბსტანცია, საწყისი. იგი მხოლოდ სინათლის ნაკლებობაა, ისევე, როგორც ბოროტება, რომელიც არ არსებობს თავისთავად და გაიაზრება, როგორც სიკეთენაკლულება.

ბიბლიის მიხედვით ნათელია ღვთის დიდება, სიწმინდე, წყალობა, მისი სიტყვა და სიბრძნე; ნათელია ქრისტე, რომელიც გვევლინება ამ სიბრძნის წყაროდ (“მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომოდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ” (იოან. 8:12)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 177). ის, ვინც ნათელღებულია, მეგობარია ღვთისა, გამზიარებელი და დამცველია მისი მცნებისა და ამგვარი “აღმსარებელი წყვდიადის ტყვე არასოდეს გახდება” (მოსია 1995: 72).

ამრიგად, თუკი თავად ღმერთია ნათელი, ხოლო სანთელი ბნელს განანათლებს, მოწამე ყრმანი კი ამ უკანასკნელს არიან შედარებულნი, ისინი, თავისთავად, ღვთიური სინათლის მატარებლად და სხვათათვის გამზიარებლად წარმოგვიდგებიან; მაკაბელები თავად არიან ღმერთის “გამნაწილებელნი” ერში, მათშია უფალი და შვიდი ყრმა შვიდ სანთლად ევლინება იუდეველთ, მთელ ქრისტიანულ სამყაროს, ღმერთთან თანაზიარნი, საღმრთო სიყვარულითა და გონიერებით ანთებულნი და სხვათა აღმანთებელნიც. სანთლის ნათება უთუოდ გულისხმობს მის წვასაც. მხოლოდ ასე თუ გამოსცემს იგი ნათელს. მაკაბელმა ყრმებმა წვით – სხეულებრივ-სულიერი გარჯით, ფიზიკური ყოფნის დაშერეტით, დათრგუნვით უნდა მოიპოვონ (და მოუპოვონ) ნათელი. მათი თავგანწირვა იქნება არა საპირადო ღწვა, არამედ საზოგადო, უფრო კონკრეტულად კიიუდეველთათვის დადებული ღვაწლი. ასეთი სანთლები სხვათათვის გამნათებელნიც არიან, ისინი ჭეშმარიტების მაძიებელთა გზაზე გამყვანებად გვევლინებიან, სულიერებისკენ მავალ გზაზე.

ვფიქრობთ, სინათლე სიფხიზლის მდგომარეობასაც გულისხმობს (გავიხსენოთ სახარებისეული ათი ქალწულის იგავი). ეკლესიასტეს სიტყვებით, სიბრძნე იმდენადაა უგუნურებაზე უმეტესი, რამდენადაც, ნათელი – ბნელზე(ეკლ. 2:13)(მცხეთური ხელნაწერი 1985: 46). მართლაც, განსაცდელში მყოფ, წამების მომლოდინე ყრმებს გონიერება და სიბრძნე სჭირდებათ, რათა არ

შედრკნენ, სულიერად არ დაძაბუნდნენ და სიკვდილის შიშით არ დაემორჩილნენ მეფის ბრძანებას. სწორედ ამაზე წუხს დედა, რომელიც შვილთა "დავსების", "დაშრეტის", თავისი სწავლებისა და აღზრდის, ღვაწლის "განქარვების" შიშით აღვსილა.

ქარი წარმავალობისა და მოუხელთებლობის, წუთიერების სიმბოლოა(იობ. 30:15)(http://www.bible.ge/Manuscript/1win.htm); იგია შიში, რომელიც დევნის სულს. ამგვარი შიშის და უმეცრების დასათრგუნავად ისურვებს პავლე მოციქული, რომ "არღარა ვიყვნეთ ჩჩჷლ, ღელვა-ატეხილ და მიმოტაცებულ ყოველთა მას ქარსა მოძულურებისასა სივერაგითა კაცთაჲთა და ზაკულებით მანქანებისა მის მიმართ საცთურებისა"(ეფეს. 4:14)(ახალი აღთქუმაჲ 2013: 375).

ამდენად, მოხუცი დედისთვის სირცხვილისა და წუხილის მიზეზი იქნება შვილთა მიერ შჯულის დაგმობა.სოლომონიაც, ვითარცა "ბაზმაკი" – დამტევი შვიდი სანთლისა, ასე "დაშრტება" და "განილევა", თუკი ჯეროვნად არ დახვდებიან მისი შვილები "მოწევნულ" განსაცდელს (იგი, განსხვავებით შუშანიკ დედოფლისაგან, ბედნიერი აღესრულება, ვინაიდან შვილებთან ერთად, ერთ რჯულზე მყოფი აღესრულება).

ყურადსაღებია ის მომენტი, რომ "მარტვილობაში" არათუ არაფერია შემთხვევით ნათქვამი, არამედ ყოველი სიტყვა, აზრი, სიმბოლო ერთმანეთთან მჭიდროდ და ლოგიკურადაა დაკავშირებული. ამგვარი რამ არ არის დამახასიათებელი ისტორიული ხასიათის თხზულებისათვის. აგიოგრაფის მიზანია მოწამის/მოწამეთა იდეალური სახის ჩვენება. ამდენად,შეაძლებელია, რომ ტექსტის შინაარსი არ იყოს თანმხვედრი ყოფიერების შინაარსისა[7] - არც მოცულობით და არც სტრუქტურით, ვინაიდან აგიოგრაფიაში ობიექტურ ისტორიაზე მეტად იდეის ისტორიაა საძიებელი, რადგან აქ ფაქტი სულიერი დოკუმენტაციის სტატუსს ატარებს. თუკი ისტორიის თხრობა ქრონოლოგიურ ძაფს მიჰყვება, აგიოგრაფიისა – სიუჟეტს, ვინაიდან ისტორიისათვის მთავარია მოვლენა, აგიოგრაფიისათვის კი – იდეა(ამირხანაშვილი 2012: 126).

სიმბოლოთა შორის მჭიდრო და ლოგიკური კავშირის გამოვლინების ერთ-ერთი მაგალითია აგიოგრაფის მიერ, სოლომონიას მეშვეობით, "იფქლის მარცვლის" მოხმობა.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ "ზეთი" და ვისაუბრეთ მის მხატვრულ დატვირთვაზე, რაც "ღვთივ მონაბერ სულს", გინათუ უფლის მცნებებს, სულისათვის საკურნებელ სწავლებას გულისხმობს. სულხან-საბას მიხედვით, ზეთი არის "მარცვალთ ცხიმი". "წამებაში" კი, როგორც აღვნიშნეთ, დედა, უფროსი შვილის მარტვილობის შემდგომ, ამგვარ სიტყვებს წარმოთქვამს: "ესე მარცუალი იფქლისაჲ განერა და დაიდვა საუნჯესა მას ზეცისასა, სადა იგი არა არს მღილი, არცა მჭამელი"... (იმნაიშვილი 1980: 33).

"ზეთის" ეიკონური სახისმეტყველების ერთგვარი გაგრძელებაა აღნიშნული ფრაზა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოწამე აღმატებულ მდგომარეობაში მყოფადაა წარმოდგენილი. ეს ნიშნავს იმას, რომ თუკი ზეთი "მარვალთ ცხიმია", თავად მარცვალი იმაზე მეტია, ვიდრე ეს ცხიმი, ვინაიდან მისგან მომდინარობს იგი.

ამ კონტექსტის მიხედვით შესაძლებელია, რომ მაკაბელი ყრმა მართლაც "მარცვლად" გავიაზროთ, რადგანაც იგიგამორჩეული პური[8] და საზრდოს მიმცემია გარშემომყოფ იუდეველებისა და ძმათათვის. ებრაელი ჭაბუკი მასაზრდოებლად ევლინება თანამოძმეთ. ზეთით – სიძლიერითა და ურყევობით შეზავებული, ღვთის მცნებათა, სწავლათა მიმღებელი სულით იუდეველთა ცნობიერებაში, სულში უნდა გაივლოს ხნული და აღმოცენდეს ახალი "მარცუალი იფქლისაჲ".

ამრიგად, იფქლის (მდოგვის) მარცვალი, ბზესგან განსხვავებით, დადებითი იდეის გამომხატველი სახეა. ესაა სახე სულიერი საზრდოსი, სწავლებისა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მარცალი –სწავლება, მისი "ქვე ყანაში" მომკილი ხორბლისაა - მოყვასთათვის თავგანწირული, "ძველი აღთქმის" წიგნთაგან მოსწავებული ქრისტესი.

გარდა იმისა, რომ მოწამე ყრმები "იფქლის მარცვალს"არიან შედარებულნი, მათ უღელში შებმულ ხარებადაც წარმოგვიდგენს ავტორი.

ანტიოქოზ მეფე "ურჩების" შედეგად, ყოველ მომდევნო ძმას იმაზე დიდ სატანჯველს უვლენს, ვიდრე მის წინ წამებულს. მას შემდეგ, რაც უფროსი ძმა ეწამება, იხმობს მეფე მეორეს და უბრძანებს, რომ მოუსმინოს. მაკაბელი კი მიუგებს: "არა მიღირს მე მიხედვაჲ პირისა მისსა, რომელი არა აღიარებს დამბადებელსა თჳსსა ღმერთსა... განგიმზადოს [ღმერთმა] შენ და მამასა შენსა ეშმაკსა განდგომილსა ცეცხლი გეჰენიისაჲ, რომელსა შინა ეგნეთ უკუნისამდე. ხოლო შენ ამიერითგან იქმოდე, რაჲცა-იგი გნებავს" (იმნაიშვილი 1980: 33, 34). ამის შემდგომ, მეფე ბრძანებს, რომ "აჰჴადონ აპკაჲ თავისა მისისაჲ ტყავითურთ და თმით... და სტაჯვიდენ განგრძობილად"(იმნაიშვილი 1980: 34). მიუხედავად ასეთი სისატიკისა, არ დათმობს წამებული "მოსეს შჯულს" და ასე მიუგებს მტარვალ მეფეს: "ჯერ-ესრეთ-არს, რაჲთა განჰმართოს ჴარმან ურნატი მეულლესა თანა. შენ, მეფე, დამჭრნე ჴორცნი ჩემნი და დათესე ასონი ჩემნი ქუეყანასა, ხოლო უფალმან შეკრიბნეს იგინი საუნჯესა ზეცისასა"(იქვე).

აღდგომის იდეის შემცველ ამ ეპიზოდში საინტერესოდ გვეჩვენება "ჴარის" გაშინაარსება.

სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია გვამცნობს, რომ ეს ცხოველი უძველესი დროიდან მიწათმოქმედი ხალხის წარმოდგენებსა და მითოლოგიურ-რელიგიურ შეხედულებებში მნიშვნელოვან ზოომორფულ სახედ დამკვიდრდა. როგორც უმეტეს შემთხვევაში, ეს სახეც ქრისტიანობამ წარმართული ტრადიციიდან იმემკვიდრა. ერთ-ერთი პოეტური ლეგენდის მიხედვით, ხარის რქებზე დაესვენა ლეკების მიერ მოტაცებული რკონის ღვთისმშობლის ხატი და ამგვარად იხსნა თავი. ხარის თავი სიმბოლური გამომსახველია ლუკა მახარებლისა, ხოლო ქართულ სინამდვილეში იგი წმინდა გიორგის ატრიბუტადაც გვევლინება (კონსტანტინე გამსახურდია – "მთვარის მოტაცება"). მისი ძირითადი ასპექტებია ძლიერება, ღვთაებრიობა, ქედუხრელობა, მამაკაცური ენერგია და ბოლოს – სიკვდილი და აღორძინება. ჩვენში ხარი ადამიანის მეგობრად წარმოდგინდება. ამის დასტურია ის, რომ ქართველმა კაცმა თავის შემწესა და მოამაგეს პატივი მიაგო – ეკლესიებისა თუ ტაძრების კედლებს მისი გამოსახულება ჩაატანა (აბზიანიძე... 2012: 151, 152).

უნდა ითქვას, რომ ხარს სხვაგვარად ზვარაკიც ეწოდება.ამას გარკვეული ახსნა აქვს და იგი კვლავაც ყოფით არეალშია საძიებელი.

"გამოსვლათა" წიგნის მიხედვით ხარს (ისევე, როგორც ცხვარს) მსხვერპლშეწირვისთვის იყენებდნენ, ვინაიდან ასეთი იყო ღვთის ნება: "საკურთხეველი ქუეყანისაგან მიქმენით მე და შეწირენით მას ზედა ყოვლადდასაწველნი და საცხოვრებელნი თქუენნი, ცხოვარნი და ზუარაკნი თქუენნი ყოველსა ადგილსა, რომელსა სახელ-სდვათ სახელსა ჩემსა და მუნ მოვიდე შენდა და გაკურთხო შენ"(გამოს. 20:24)(მცხეთური ხელნაწერი 1981: 181).; შეწირვის მაგალითს კი "II მეფეთა" წიგნის იმ ეპიზოდში ვხვდებით, სადაც დავითი ორნა იებუსეველის კალოზე აღუმართავს ღმერთს სამსხვერპლოს: "მიუგო ორნია დავითს და ჰრქუა: მიიღენ უფალმან ჩემმან მეფემან და ყავნ ბრძანებისაებრ უფლისა ღმრთისა, და ვითარცა სათნო-უჩნს! და, აჰა, ეგერა, არიან ჴარნი ეგე მსხუერპლად და უღელი და საჴვნელი და ყოველივე ჭურჭელი კალოსი მრგულიადდასაწველთათჳს შეშად!" (II მეფ. 24:22)(მცხეთური ხელნაწერი 1982: 138).

"ჴარის" სიმბოლოს გაშინაარსების მიხედვით, ნათელი ხდება საწამებლად გამზადებული ძმის მიერ უღელში შებმულ ხართან შედარების მნიშვნელობა. ჭაბუკის ნათქვამი პასუხი მრავლისდამტევია: მაკაბელი ყრმა დაუმორჩილებლობას უცხადებს მეფეს, ის ქედუხრელად ბაძავს წამებით აღსრულებულ ძმას; ხოლო იმისათვის, რომ პირველი მაკაბელის წამებამ გარკვეული კვალი დატოვოს და დანარჩენებმაც ღირსეულად "მოიმუშაკონ", გინათუ "მოივაჭრონ" ცათა სასუფეველი, აუცილებელია უღელში შებმა. თანაზიარნი უნდა იქმნენ ერთმანეთის ჭირისა და განსაცდელისა, რადგან, როგორც ცალუღელა ხარს არ ძალუძს

კვალის, ხნულის ("ურნატი") გავლება და მიწის დამუშავება (რათა დაითესოს მარცვალი), ისე, "ერთობის" გარეშე, ვერ შეძლებენ ძმები "გვრგვნის მოღებას".

მოწამეები ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ, ამ ტვირთის ტარება კი საწადელია მათთვის (ისევე, როგორც ზენა საუნჯისათვის დაუღლვილი მხნე ხარების – იოანეს, აფოცისა და იაკობისთვისაა სასურველი, სანეტარო, შუშანიკის პატიოსანი ძვლებისათვის პატივის მიგება);

"მარტვილობაში" გამოვლენილ სახეთაგან ჩვენს ინტერესს იწვევს კიდევ ერთი მხატვრული სახე – "ქალაქი".

სოლომონია საწამებლად გამზადებულთ მოუწოდებს, რომ დათმონ "ქალაქი ესე შეზღუდვილი". ვფიქრობთ, ამ მიმართვაში "შეზღუდული ქალაქი" არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ იმ შეიარაღებულ ადგილს, ქალაქს, სადაც გამართულია ურჩთა დასჯის ერთგვარი ცერემონია. ამ სახის ჰერმენევტიკულ არსს გვიხსნის ნეტარი ავგუსტინე (ტრაქტატი "ორი ქალაქი"). მისი თვალსაზრისის თანახმად, არსებობს ორი ქალაქი – ღვთიური და მიწიერი. პირველში "მცხოვრებნი" არიან ანგელოზები, ღვთივსათნო ადამიანები, ჭეშმარიტი ქრისტიანები; მეორეს კი განეკუთვნებიან უკეთურნი, ცოდვით დამძიმებულნი, ხორციელი და წარმავალი სურვილების მქონენი (გრიგოლაშვილი 2005: 93).

ბიბლიის მიხედვით, მიწიერი ქალაქის დამფუძნებლად შეგვიძლია გავიაზროთ კაენი, ხოლო აბელი მივიჩნიოთ ზეციური ქალაქის მკვიდრთა პირველსახედ. შეიძლება ითქვას, რომ რომელი "ქალაქის" მკვიდრიცაა ესა თუ ის პირი, იმგვარივეა მისი "მოქალაქობა".

"წამებაში", კონტექსტის მიხედვით, საუბარია იმაზე, რომ მოწამე ყრმებმა მიწიერსიამეთა სამყოფელი, ცოდვებით "შეზღუდვილი" ადგილი უნდა "დაუთმონ მას" – ანტიოქოს მეფეს, რათა, "რაჟამს იხილავს იგი მათ მოთმინებას, მართლუკუნიქცევა სირცხვილეული" (იმნაიშვილი 1980: 30).

ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში "ქალაქს" ამქვეყნიური დატვირთვა აქვს და სოლომონია სწორედ ამიტომ მოუწოდებს ყრმებს, რომ დათმონ, დატოვონ იგი, "მტრედებივით შეაწყონ ფრთენი ურთიერთას, ვითარცა ზღუდეთა აღუვალთა" (იმნაიშვილი 1980: 31). სიმშვიდითა და სიმტკიცითთუ შეძლებენ ჭაბუკნი "ცოფი" და "ბილწი" მეფის დამარცხებას. ისინი ახალი – ზეციური ქალაქის მაშენებლებად უნდა იქცნენ და ამიტომაც ადარებს მათ დედა ხუროთმოძღვართ.

ტრადიციულად, ორი დაპირისპირებული მხარის შებრძოლებისას, უფრო ადვილი იყო იმ ქალაქის დამორჩილება, რომელსაც გარშემო ნაკლებად მყარი ზღუდე, გალავანი ერტყა. თუკი ამ მომენტს სულიერ პლანში გავიაზრებთ, ანტიოქოზის მიერ გამართულ ბრძოლაში გამარჯვებისთვის, მოწამენი ერთმანეთის გვერდით, "კვლა აქაცა" "ერთობით" უნდა იყვნენ, "შეაწყონ ფრთენი ურთიერთას", მათზე "მოწევნული" განსაცდელისას სიმტკიცეში თანაზიარნი უნდა გახდნენ და ამით ემსგავსნენ "მუშაკებს".

დასასრულ, ვფიქრობთ, იუდეველ მოწამეთა დედის სათქმელი ერთია, მთავარი არსი მისი სიტყვებისა და მოწოდებისა არის ის, რომ მოწამეებმა სძლიონ ტივილს და გაიმარჯვონ, ამაღლდნენ ადამიანურ ბუნებაზე, რადგან "ღვთის ხატად შემოსვის, ფიზიკური ბუნების განმგებლობის კვალობაზეა კაცი პიროვნება" (ფარულავა 1991: 97). კეთილდღეობა და მატერიალური, საგნობრივი სიმდიდრე ერთგვარ საცდურს წარმოადგენს, ამიტომ მას უნდა განეშოროს მარტვილობის ჭეშმარიტ გზაზემყოფიადამიანი.

სოლომონიას მიმართვას საუცხოო ოსტატობით გადმოგვცემს აგიოგრაფი. "წამებაში" მრავალი მხატვრული საშუალებაა მოხმობილი, რაც მკაფიოდ, ნათლად წარმოაჩენს როგორც წამებულთა, ისე მტარვალი მეფის სახეს. იშვიათად გვეგულება ასე სიმბოლიზებული აგიოგრაფიული თხზულება, როგორიც მაკაბელთა "მარტვილობაა". ამგვარი მეტყველება ერთიორად ამაღლებს მის მხატვრულობას და სწორედ ეს უხვი სახისმეტყველებითი ნაკადი,

ერთგვარად, საყურადღებოს ხდის აგიოგრაფიულ თხზულებად გარდაქმნილ ისტორიულ ამბავთა მდინარებას.

ჩვენ მიერ განხილულ სიმბოლოთა მიხედვით, ადამიანური არსებობის ორი მხარეა წარმოჩენილი: ერთი მოხმობილია სიკეთის, სათნოების, ღვთივსულიერი ბუნების წარმოსაჩენად (რასაც თეთრ ფერს ვუწოდებთ), ხოლო მეორე – ბოროტების, სიავის, უკეთურების დასახასიათებლად (შავი ფერი). მნიშვნელოვნად გვესახება ის, რომ თითოეული სახე-სიმბოლო გადაჯაჭვულია და ერთმანეთს ორგანულად ერწყმის. თითოეული სახე კონტექსტის მიხედვითაა განსამარტავი და კანონი მშრალ, გაქვავებულ სახედ კი არ აქცევს ცალკეულ სიმბოლოს, არამედ, ცოცხალსა და მარად საძიებელს, "გასაშინაარსებელს" ხდის მას. შეიძლება ითქვას, რომ "წამება" "შეკრულია" და ერთი სახის განმარტება, დეკოდირება გზაა მეორის გასაგებად, განსამარტავად, რაც საბოლოოდ თხზულების ერთიანობაში გააზრების, აღქმის შესაძლებლობას გვაძლევს.

---

[1] ანტიოქე IV ეპიფანეს მეფობის წლებია ძვ.წ. 175-163 წწ. (ბათოშვილი 1991: 124).

[2] საეკლესიო კალენდრის მიხედვით, მაკაბელები ეწამნენ ძვ.წ. 166 წელს (საქართველოს... 1976: 225).

[3] მართალია, ამ ეტაპზე სრულად მივყვებით გამოცემულ ტექსტს, მაგრამ ვფიქრობთ, ივ. იმნაიშვილის მიერ შერჩეული პუნქტუაციის ნიშანი (ორწერტილი) მთლად ზუსტი არ უნდა იყოს (იმნაიშვილი 1980: 30); კონტექსტის მიხედვით, წერტილმძიმე ჯობს (";"). გამოცემის ვარიანტით, თითქოს ყრმათა წამება დაამწუხრებს ქალაქს. შესაძლოა, თანამოძმენი მართლაც შეწუხდნენ ჭაბუკთა აღსრულებით, მაგრამ უცხო და აბსურდულია მათი თავდადება, სურვილი "შეზღუდვილი ქალაქისთვის"; ვფიქრობთ, იგი არაა რომელიმე ტოპონიმად გასააზრებელი ადგილი. თუ რატომ, ამას დეტალურად წარმოვაჩენთ ფრაზის – "შეზღუდვილი ქალაქი" – სახისმეტყველებითი ანალიზისას (გვ.: 12-13).

[4] "უნდო" – არად საქმარი (ორბელიანი 1993: 164).

[5] ნიშანდობლივია ისიც, რომ წმინდა მამის – ბასილი დიდის მიხედვით (IX ჰომილია), იმ ცხოველებს, რომელნიც სხვებს ჭამენ, შვილები ცოტა ჰყავთ. მაგალითად, ძუ ლომი ძლივს ხდება დედა ერთი ლომისა, რადგანაც, როგორც ამბობენ, ბოკვერი მახვილი ბრჭყალებით აპობს საშოს და ისე გამოდის. ასპიტიც დედის დაღრღნის შედეგად იბადება... (ბასილი დიდი 2011: 125). მაშასადამე, თუ ამ ორ ცხოველს სიმბოლურ სახედ გავიაზრებთ, ბოროტება მარტივად არ უნდა გამრავლდეს, ეს მის ბუნებადაც შეგვიძლია გავიაზროთ.

[6] "ბაზმაკი" – სანთელი, სასანთლე (აბულაძე 1973: 28); სანათივე (ორბელიანი 1991: 91).

[7] ი. არაბიძე იმოწმებს ქ. ჰაბიხტის აზრს, რომლის მიხედვითაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ ანტიოქოზი პალესტინაში ყოფილიყო იუდაიზმის აკრძალვის შემდეგ და მონაწილე ან, თუნდაც, თვითმხილველი გამხდარიყო ამ წამებისა (არაბიძე 2008: 20).

[8] სულხან-საბას მიხედვით, იფქლი შემოდგომაზე ნათესი ხორბალია (ორბელიანი 1991: 339).

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე... 2011: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ.I. თბილისი. გამომცემლობა "ბაკმი", 2011;
2. აბზიანიძე... 2012: აბზიანიძე ზ. ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ.II. თბილისი. გამომცემლობა "ბაკმი", 2012;
3. აბულაძე 1973: აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი. გამომცემლობა "მეცნიერება", 1973;
4. ამირხანაშვილი 2004: ამირხანაშვილი ი. სტილისტური პარადიგმები V-XI სს-ის ქართულ აგიოგრაფიაში. ლიტერატურული ძიებანი, XXV, 2004;
5. ამირხანაშვილი 2012: ამირხანაშვილი ი. ისტორია და აგიოგრაფიული თხზულება. იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამება" და ადრექრისტიანული კულტურა, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2012;
6. ახალი აღთქუმაჲ... 2013: ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. თბილისი. გამომცემლობა "ალილო", 2013;
7. ბათოშვილი 1991: ბათოშვილი ა. ებრაელთა ხალხის ისტორიიდან. თბილისი. "საქინფორმკინო", 1991;
8. ბასილი დიდი 2011: წმინდა ბასილი დიდი კესარია კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი. ჰომილიები ექვსი დღისათვის. თბილისი. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2011;
9. გრიგოლაშვილი 2005: გრიგოლაშვილი ლ. დავით აღმაშენებლის "გალობანი სინანულისანი". თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005;
10. ელაშვილი 2009: ელაშვილი ქ. სიტყვით თრობა. თბილისი. გამომცემლობა "ბაკმი", 2009.
11. იმნაიშვილი 1980: იმნაიშვილი ი. წამებაჲ შჳდთა ყრმათა მაკაბელთაჲ. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №3, 1980;
12. საქართველოს... 1976: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი. 1976;
13. კეკელიძე 1981: კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ.II. თბილისი: გამომცემლობა "მეცნიერება", 1981;
14. ლოპუხინი 2000: ლოპუხინი ა. ბიბლიის განმარტებანი. წ.I. "მერმისი", 2000.
15. მოსია 1995: მოსია ტ. საღვთო სახისმეტყველება. ზუგდიდი. 1995;
16. მცხეთური ხელნაწერი 1981: მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი). თბილისი. გამომცემლობა "მეცნირება", 1981;
17. მცხეთური ხელნაწერი 1982:მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები). თბილისი. გამომცემლობა "მეცნირება", 1982;
18. მცხეთური ხელნაწერი 1985: მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქებათა ქება სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი). თბილისი. გამომცემლობა "მეცნირება", 1985;
19. მცხეთური ხელნაწერი 1986: მცხეთური ხელნაწერი (დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები).თბილისი. გამომცემლობა "მეცნირება", 1986;
20. ნეტ. თეოფილაქტე 2012: ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი. მათეს სახარების განმარტება. თბილისი. გამომცემლობა "ალილო", 2012;
21. ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული. I. თბილისი. გამომცემლობა "მერანი", 1991;
22. ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული. II. თბილისი. გამომცემლობა "მერანი", 1993;
23. ბერ. სერაფიმე 2012: ბერმონაზონი სერაფიმე (როუზი). იოანეს ღვთისმეტყველის გამოცხადების განმარტება. გამომცემლობა "ალილო", 2012;
24. ფარულავა 1991: ფარულავა გ. ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითადი პრინციპები. ჟ. "ხელოვნება". №11-12, 1991;
25. ფსალმუნნი... 2012: ფსალმუნნი წმინდა მამათა განმარტებებით. თბილისი. გამომცემლობა "ალილო", 2012;

26. ქართული... 2008: ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ტ.III. თბილისი. გამომცემლობა "ბთი", 2008;
27. http://www.bible.ge/Manuscript/1win.htm .

Natia Jangulashvili

To understand the symbols of "torture of Maccabees"

SUMMARY

Work provides study of the hagiographic pieces created on the basis of non-canonic books of Maccabees of Old Testament. It turned out that in ancient Georgia the Maccabees were very popular and they have even translated their "Martyrdom".

Study of "Martyrdom of Maccabees" in Georgian language has certain history, though this monument is not studied in literary aspect yet.

Work provides discussion of some symbols in the "Martyrdom of Maccabees". These include: "snake", "sea", "lion", "lamb", "darkness", "oil", "lit lantern", "candle", "ox", "town", "wheat grains", "architect" and others.

It turned out that there are close and logical links between these symbols. The images-symbols are chained with one another. One could say that "Martyrdom" is "closed" and explanation, decoding of one image provides the way for understanding of the other one and finally, understanding of the entire work.